ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2468508

ნომერი: AR1379467

თარიღი : 18.02.2016

გაცემის თარიღი : 07.03.2016

გაცნობის თარიღი : 08.03.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ადამ მიცკევიჩი , N 27გ ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვაჟა ნადირაშვილი პ/ნ 01024035369
- ბახტრიონის ქ.#13

ორგანიზაცია:
- ამხანაგობა ,,საბურთალო 2006" კოდი: 205243823

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 18/02/2016 წლის AR1379467 განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია სამსახურის 25.12.2015 წლის №2360138 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

გაცნობებთ, რომ სამსახურმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამართლებრივი განმარტება მოგაწოდათ 02.02.2016 წლის №2411342 წერილით სადაც განგემარტათ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–2 მუხლის შესაბამისად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები. ხოლო, აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც დაინტერესებულ მხარეს ანიჭებს რაიმე უფლებას ან სარგებელს.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის მიხედვით ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, შეცდომები. მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირების თაობაზე სამსახურის მიერ მომზადებული პასუხი კი წარმოადგენს ქალაქგეგმარებით პოზიციას და არ წარმოადგენს აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, შესაბამისად, 25.12.2015 წლის №2360138 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების მოთხოვნით სამსახურისთვის მომართვა საფუძველს მოკლებულია.

დამატებით განგიმარტავთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 25 დეკემბრის #2360138 გადაწყვეტილებით თქვენს მიერ წარმოდგენილი ესკიზის მიხედვით ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზირსა და მიცკევიჩის ქუჩას შორის მდებარე მიწის ნაკვეთის (ს/კ: #01.10.14.015.031) საზღვრების გეგმის კორექტირება სერვიტუტის დატანით სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებლად მიაჩნია. ამასთან, დანართის სახით გადმოგზავნილი გაქვთ გრაფიკული ნაწილი, რომელშიც დატანილია სერვიტუტი.